გილოცავთ დამდეგ შობა ახალ წელს

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, კალანდას! ახალი 2023 წელი, ჩვენი ქვეყნისთვის, გურიის რეგიონისთვის და თითოეული მოქალაქისთვის ყოფილიყოს სიახლეების, კეთილდღეობისა და წარმატების მომტანი. გისურვებთ მშვიდობას და ჯანმრთელობას!

გიორგი ურუშაძე,

სახელმწიფო რწმუნებული ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში.

გილოცავთ დამდეგ 2023 წელს! გისურვებთ მშვიდობას, ულევ სიხარულს, სიკეთესა და წარმატებას თქვენ და თქვენს ოჯახებს! მშვიდობის, კეთილდღეობის, წინსვლის და გაძლიერების წელი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისთვის და სრულიად საქართველოსთვის!

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

გილოცავთ დამდეგ 2023 წელს, შობის დღესასწაულის მობრძანებას. უფლის წყალობა და მადლი, წინსვლა და წარმატებები არ მოშლოდეს ჩვენს ქვეყანას.

მშვიდობის, სიხარულისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №34 (10445) 29 დეკემბერი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

წინასაახალწლო დაპირისპირება ოზურგეთის საკრებულოში

დეპუტატი თათია ნიკოლაიშვილი ოზურგეთის საკრებულოში განვითარებულ მოვლენებზე ობიექტურ გამოძიებას ითხოვს

ალიონი. 23 დეკემბერს გაიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, სადაც წლის მთავარი დოკუმენტი – 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი უნდა განეხილათ, თუმცა ტრადიციული დაპირისპირების გამო განხილვა გარკვეული დროით შეფერხდა.

დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ნაციონალმა დეპუტატებმა საავადმყოფოში მყოფი მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის ამსახველი ფოტოები გამოფინეს და მისი პატიმრობაში ყოფნა გააპროტესტეს.

პარტიის თავმჯდომარე **დავით მჟავანაძემ** განაცხადა, რომ ისინი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის უმძიმეს მდგომარეობაში ყოფნას აპროტესტებდნენ და დარბაზის დატოვებას აპირებდნენ.

როგორც ჩანს, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი დეპუტატების ნაწილი წინასწარ იყვნენ ინფორმირებულები ნაციონალი დეპუტატების მოსალოდნელი ქმედების შესახებ და მათ წინა ხელისუფლების დროს დაღუპული სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის და სხვათა ფოტოები წარმოადგინეს.

დაპირისპირებამ საკრებულოს თავმჯდომარის მაგიდის წინა პერიმეტრი მოიცვა და იგი ძირითადად

>>> გვ–3

ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისაკენ

ალიონი. *ახალი წლის დადგომამდე სამიოდე დღე რჩება. 2023 წლის შესახვედრად სამზადისია რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში.*

საახალწლო სამზადისი აქტიურ ფაზაშია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. დაბის ცენტრში აღმართულია ლამაზი ნაძვის ხე და საახალლო დღეებში არაერთი ღონისძიების ჩატარებაა დაგეგმილი. გაზეთი „ალიონი“ წინაასახალწლოდ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს დავით შარაშიძეს შეხვდა. მერმა დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა სრულიად საქართველოს მოსახლეობას და პასუხი გასცა ჩვენს შეკითხვებს:

– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა ახლახან გაიმარჯვა ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“. რას გვეტყოდით განახლებადი ენერგიის განვითარების ღონისძიების შესახებ?

– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა ევროკავშირის გრანტი მოიპოვა.მერიამ, თანააპლიკანტ ორ განიზაციებთან, ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – „პროგრესის სახლი“ და „პოლონეთის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში“ (SFPL) ერთად, გაიმარჯვა „ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ეგიდით ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში პროექტით „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“.

პროექტის მიზანია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგოლობრივი ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება და განახლებადი ენერგიის მოხმარების წამახალისებელი პოლიტიკის გატარება მთავრობის,ბიზნესის და არასამთავრობო სექტორთა ჩართულობით.

პროექტი შემუშავდა PL საქართველოში ინიციატივის ფარგლებში შემნილი „სახსრების მოძიების აკადემიის“ ჯგუფის მიერ, რომელიც შედგება მერიის სამსახურებისა და საკრებულოს წარმომადგენლებისაგან და თანააპლიკანტ ორგანიზაცებთან ერთად.

– გარემოს დაცვა, ენერგოეფექტურობის და კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის ხელშეწყობა 2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა.რას გვეტყოდით ამ პროგრამის შესახებ და რას ითვალისწინებს იგი?

– 2021 წლის 1 ივლისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და პოლონეთის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი.

მემორანდუმი მიზნად ისახავდა, პროექტის – „ენერგოეფექტური თვითმმართველობის ერთეული – ენერგოეფექტურობის გადაწყვეტილებების საპილოტე განხორციელება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში“– განხორციელებას. მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივ საქმიანობაზე ენერგოეფექტური თემატიკის მიმართულებით.

პროექტის მიზანი იყო ენერგოეფექტურობის გაზრდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

მემორანდუმის ფარგლებში, პოლონეთის სოლიდარობის ფონდმა აიღო ვალდებულება:

– განეხორციელებინა ენერგოაუდიტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 20 შერჩეულ ლოკაციაზე;

– აუდიტის რეკომენდაციების საფუძველზე შეემუშავებინა ენერგოეფექ-

>>> გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ.) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ.) მთლიანი გვერდებისა –150-150 ლარი;

–1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად, (810 კვ.სმ.) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. სმ.) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის ღირებულება 50 ლარით იზრდება.ზ– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. სმ-ზე, სურათით 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ.) – 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი –სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ.)-2 ლარი.

საცალო ფასი: 60 თეთრი.

ხელმოწერა:

ერთი თვით –2,40 ლარი;

სამი თვით –7,20 ლარი;

6 თვით –15 ლარი;

ერთი წლით –30 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე არ შეიძლება.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 49 91 00

კომპიუტერული უზრენველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 57 60 60

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3

ტელ. 558 499100

გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18.11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე

„ალიონით“

წინასაახალწლო ზეიმი ოზურგეთში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მთავრობის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ოზურგეთში საახალწლო ღონისძიება გაიმართა.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ საზოგადოებას დამდეგი შობა-ახალი წელი ოზურგეთის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ,** პარლამენტის წევრმა, გურიის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ვასილ ჩიგოგიძემ** და გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, **გიორგი ურუშაძემ** მიულოცეს.

„მივესალმები ჩემს ოზურგეთს და ოზურგეთელებს, მივესალმები სრულიად საქართველოს. დიდი სიყვარულით მინდა ასევე მივესალმო და დამდეგი ახალი წელი მივულოცო ჩვენს თანამემამულეებს საზღვარგარეთ!

მადლობა ყველას, რომ მიიღეთ ჩვენი მოწვევა და მობრძანდით. დღევანდელი დღე სავსეა სიხარულით. მინდა, გისურვოთ ჯანმრთელობა და ყოველივე საუკეთესო!

მიმდინარე წელს ოზურგეთში სხვადასხვა მიმართულებით არაერთი პროექტი განვახორციელეთ. ჩვენ, კვლავ გვექნება პოზიტიური სიახლეები, დაგეგმილი გვაქვს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი პროექტი და განვაგრძობთ ოზურგეთის განახლებას. მჯერა, მომავალი წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის და მთლიანად ჩვენი ქვეყნისთვის იქნება კიდევ უფრო მეტი აღმშენებლობის, განვითარების, წარმატების და კეთილდღეობის მომტანი!

ოზურგეთის სახელით, მადლობას ვუხდი საქართველოს პრემიერ მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, მთავრობას და საქართველოს პარლამენტს, ჩვენი მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარდაჭერისთვის! გილოცავთ დამდეგ 2023 წელს!”––განაცხადა **ავთანდილ თალაკვაძემ.**

საახალწლო ღონისძიებები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა – მოეწყო საშობაო ბაზრობა, გამოფენა-გაყიდვა, საბავშვო გასართობი სივრცეები, განთავსდა ხის საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. ადგილობრივი ანსამბლების შემდეგ, მსმენელის წინაშე ირინა ბაირამაშვილი, დათო ლონდარიძე და ჯგუფი „გუფი ლენდი“ წარდგნენ. საზეიმოდ აინთო ქალაქის მთავარი ნაძვის ხე.

ღონისძიება გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

ლანჩხუთში მთავარი ნაძვის ხე ცენტრალურ მოედანზე საზეიმოდ აინთო

ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დამდეგი ახალი წელი საზოგადოებას ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** მიულოცეს.

– ვულოცავ ყველას დამდეგ 2023 წელს. ახალი წელი განსაკუთრებული დღესასწაულია ბავშვებისთვის. ვეცადეთ დღეს ლანჩხუთი კიდევ უფრო ლამაზი და ნათელი ყოფილიყო. მშვიდობას და კეთილდღეობას გისურვებთ – აღნიშნა **ალექსანდრე სარიშვილმა.**

საღამოზე წარმოდგენილი იყო ნიღბების თეატრის სპექტაკლი ,,მხიარული ჯამბაზები“, შემდეგ კი გიორგი ცხადაძის კონცერტი გაიმართა.

ღონისძიება ფოიერვერკით დასრულდა.

ლანჩხუთის სამუსიკო სკოლაში საახალწლო ღონისძიება გაიმართა

ლანჩხუთის მ.ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში საახალწლო ღონისძიება გაიმართა.

აღსაზრდელებმა სხვადასხვა ნომრები წარმოადგინეს. შესრულდა, როგორც კლასიკური ნაწარმოებები, ასევე საესტრადო და ხალხური სიმღერები.

– სამუსიკო სკოლების აღსაზრდელები ყოველთვის გამოირჩევიან მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით. მინდა პედაგოგებს და თითოეულ აღსაზრდელს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები ვუსურვო – აღნიშნა ლანჩხუთის მერის პირველმა მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძემ.**

ღონისძიებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე და სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების ხელმძღვანელი ლია ურუშაძე ესწრებოდნენ.

„ოქროს მართვე – 2022“ გამარჯვებული რევაზ კუპატაძე გახდა

სასცენო ხელოვნების სატელევიზიო კონკურს - ფესტივალის „ოქროს მართვე“- 2022 ლაურეატი ლანჩხუთის ვ. ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლე **რევაზ კუპატაძე** გახდა, რომელსაც სამახსოვრო საჩუქრები ლანჩხუთის მერის პირველმა მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძემ გადასცა.

- რეზის შემოქმედება ძალიან საინტერესოა. მას ხედვის, აღქმის განსაკუთრებული ნიჭი გააჩნია და მიხარია, რომ ის ამ კონკურსის გამარჯვებულია. მინდა მთელი გულით ვუსურვო წარმატებები“- აღნიშნა ეკატერინე გუჯაბიძემ.

შეხვედრას რესურს ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ჩიტაძე, სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორი ლია ურუშაძე, პედაგოგები და რევაზ კუპატაძის მეგობრები დაესწრნენ.

გიორგი თოხაძე და იური ლომაძე – საქართველოს ჩემპიონი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ — გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული ჭიდაობის სექციის (ბერძნულ — რომაული სტილით) მოჭიდავეები **გიორგი თოხაძე** და **იური ლომაძე** საქართველოს ჩემპიონები არიან!

გიორგი თოხაძემ ბათუმში ბერძნულ- რომაულ ჭიდაობაში გამართულ საქართველოს პირველობაზე, 55 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა და ოქროს მედალი დამსახურებულად მოიპოვა!

ასეთივე წარმატებით გამოვიდა 77 კგ. წონით კატეგორიაში იური ლომაძემ, რომელმაც ასევე ოქროს მედალი აიღო.

გიორგი თოხაძე და იური ლომაძე ასპარეზობისთვის **ვლადიმერ და ირაკლი ზურაბიანებმა მოამზადეს.**

ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისაკენ

ტურობის გეგმა.შედეგად, – მაღალმთიან სოფელ ზოტის საბავშვო ბაღსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №1 ბაგა-ბაღში დამონტაჟდა მზის ელექტროსადგურები; ასევე, სოფელ ზოტის საბავშვო ბაღში არსებული შეშის ღუმელები

ჩანაცვლდა ახალი, ბრეკეტზე მომუშავე ენერგოეფექტური 5 ენერგოეფექტური ღუმელით;

ბაღებისათვის შესყიდულ იქნა და დამონტაჟდა 100 ლედ ნათურა;

– განხორციელდა ამავე საბავშვო ბაღების სახურავების თბოიზოლაცია;

– მუნიციპალიტეტის სოფლებში დამონტაჟდა 446 ერთეული მაღალეფექტური ქუჩის ლედსანათები;

– ჩატარდა ტრენინგ კურსი ენერგოეფექტურობა და კლიმატ გონივრული საოჯახო

პრაქტიკის შესახებ, მოსახლეობისთვის.

სწორედ აღნიშნულმა პრაქტიკამ გადაგვაწყვეტინა ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ

საგრანტო კონკურსში მიგვეღო მონაწილეობა პროექტით – „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“.

– მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, „ჩოხატაურის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს“ წევრთა შესარჩევი კონკურსი. რა იქნება ამ საბჭოს მუშაობის პრიორიტეტი?

– ჩოხატაურის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა ადგილობრივი თვითმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის სრულფასოვანი მონაწილეობისა და ჩართულობის მიზნით.

საბჭოს მუშაობის პრიორიტეტებია: ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა,მათი აქტიური მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში, მათი ინფორმირება მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის, პროგრამების და სხვა შესაძლებლობების შესახებ. საბოლოო ჯამში, ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ნებისმიერ პროცესში.

– რა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება ჩოხატაურში. რას ანიჭებს უპირატესობას მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სოფლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების შერჩევისას?

– მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. მათგან გამოვყოფდი გორაბერეჟოულის ტყეპარკისა და ნოდარ დუმბაძის სახელმუზეუმის რეაბილიტაციის პროექტებს. დაბის ტერიტორიაზე მიმდინარეობს მდინარე ორპირის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

პროექტების ღირებულებამ რეგიონალური განვითარების ფონდიდან შეადგინა 5 223 297 ლარი. სრგპ ფონდიდან ხორციელდება 4 852 831 ლარის სამუშაოები. ასევე მიმდინარეობს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები,რაზედაც გამოყოფილია მთავრობის მიერ 1 825 000 ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ საფუძველზე განხორციელდა 730 000 ლარის ღირებულების პროექტი სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

დაბა ბახმაროში განხორციელდა პარკის რეაბილიტაცია, რაზედაც 1 373 777 ლარი დაიხარჯა. ეს პროექტი განხორციელდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით.

ასევე მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ 2023 წლისთვისაც.

– ჩოხატაურში მიმდინარეობს დაბის კეთილმოწყობის სამუშაოები. ხელოვნების სასახლის წინ მიმდინარეობს სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები შეჩერდა.ვინ აფინანსებს ამ პროექტს და რატომ შეჩერდა იგი?

– საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში ლანჩხუთის,ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების მიზნით ტენდერი გამოაცხადა.

გურიის რეგიონში პროგრამით მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2021 წლის მაისში დაიწყო. ***ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „ალმაშენებელი“ (ქუთაისი) ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები,რის გამოც მასთან ხელშეკრულება შეწყდა. ხელშეკრულების შეწყვეტამდე კონტრაქტორ კომპანიას არაერთხელ მიეცა,როგორც სიტყვიერი,ისე წერილობითი გაფრთხილება, თუმცა კომპანიამ ვერ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება***. იმედს გამოვთქვამთ,რომ ამჯერად გამარჯვებული კომპანია მიიყვანს საქმეს ბოლომდე და დასრულებს დაბის კეთილმოწყობის სამუშაოებს.

– დასაქმების სახელმწიფო პროგრამით რამდენი ადამიანი დასაქმდა მუნიციპალიტეტში და რამდენად გამართულად მუშაობს იგი?

– დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაქმდა 840-მდე ადამიანი,რომელთამოვალეობები განსხვავებულია და მოიცავს ადმინისტრაციულ ერთეულებში ცენტრების,ქუჩების, ტროტუარების, სკვერების, სასაფლაოების, სანიაღვრე არხების და სხვა ლოკაციების დალაგება დასუფთავებას. ასევე სკოლების, ბაღებისადმინისტრაციული შენობების დალაგებას და დაცვას. პროგრამა მიმდინარეობს შეუფერხებლად.

– თქვენ ცოტა ხნის წინ შეხვდით ისრაელის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (MASHAV) საქართველოს ხელმძღვანელს, გიორგი ჟღენტს და MASHAV-ის პროგრამის აგრო პროექტების მენეჯერ,იუვალ ელაზარს. რა პროექტების და პროგრამების შესახებ აპირებთ თანამშრომლობას და რა პრაქტიკა არსებობს ამ თანამშრომლობის?

– MASHAV-ი საქართველოში 1992 წლიდან ფუნქციონირებს და მისი მიზანია მეგობარი ქვეყნებისთვის ისრაელის გამოცდილების, ცოდნის, ტექნოლოგიების და ინოვაციების გაზიარება. MASHAV-ის კურსდამთავრებულები საკმაო რაოდენობითაა გურიაში,მათ შორის მეც მხვდა წილად ბედნიერება, ვყოფილიყავი მათ შორის.

ჩვენ შევხვდით ისრაელის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (MASHAV) საქართველოს ხელმძღვანელს გიორგი ჟღენტს და MASHAV-ის პროგრამის აგროპროექტების მენეჯერს იუვალ ელაზარს და MASHAV-ის ორგანიზაცია „შალომ კლუბი გურია“-ს ხელმძღვანელს-ზაურ ოსეფაიშვილს.სწორედ ამ კლუბის საშუალებით ახორციელებს პროექტებს MASHAV-ი. საქართველოში.შეხვედრაზე განვიხილეთ მიმდინარე წარმატებული პროექტები და ვისაუბრეთ მომავალ შესაძლო თანამშრომლობის მიმართულებებზე,მნიშვნელოვანი საკითხის, სოფლებში სასმელი წყლის გასაფილტრი დანადგარების მოწყობის პრიორიტეტზე,ასევე სოფლის მეურნეობის განვითარებაში ისრაელის ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობებზე.

– რას ეტყოდით საახალწლოდ თქვენს მოსახლეობას...

– ყველას ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. მშვიდობის, სიხარულისა და ბედნიერების წელი ყოფილიყოს 2023.

31 დეკემბერს კვლავ ერთად შევხვდეთ ახალი წლის შემობრძანებას.

13 იანვარს კი, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მთელი ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, გრანდიოზული საღამო გველოდება. ერთად შევეგებოთ ტრადიციულ გურულ კალანდას.

წინასაახალწლო დაპირისპირება ოზურგეთის საკრებულოში

დეპუტატი თათია ნიკოლაიშვილი ოზურგეთის საკრებულოში განვითარებულ მოვლენებზე ობიექტურ გამოძიებას ითხოვს

ქალ დეპუტატებს შორის მიმდინარეობდა.

მათი სიტყვიერი დაპირისპირება საკმაო ხანს გაგრძელდა– „თქვემ ხართ მკვლელები და მოღალატეები“, „მონა ხარ“–ისმოდა ურთიერთბრალდებები სხდომის დარბაზში.

შემდეგ ნაციონალმა დეპუტატებმა საკრებულოს დარბაზი დატოვეს.

– რაც აქ ვნახეთ, ამაზრზენი და სირცხვილია ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. რაც მოხდა, ეს ყველას აწუხებს. ამ ადამიანებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ბიუჯეტს, ყველა ჩვენს მოქალაქეს, რომლებიც ამ ბიუჯეტის დროულ მიღებას ელოდებიან. ეს არის მათი სახე, ნათლად დაგვანახვეს, რა და ვინ არიან – განაცხადა სხდომის განახლების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ**.

„დღეს ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ბოიკოტი გამოუცხადა საკუთარ მოსახლეობას“ – ასე შეაფასა ნაციონალი დეპუტატების ბოიკოტი ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენისას ოზურგეთის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ**.

სხდომის დასრულების შემდეგ საკრებულოს დეპუტატებს მიმართა საზოგადოებრივი მოძრაობა

„ხალხის ძალა“-ს წარმომადგენელმა **გელა ჩავლეშვილმა**:

– ნაციონალურ მოძრაობას ხალხმა 2012 წელს უთხრა უარი. ახლა კი ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით ცდილობს თავი მოაჩვენოს მათ ჩვენი ქვეყნისადა ხალხის გულანთებულ პატრიოტებად. ტყუილი ბრალდებებით, ფაქტების დამახინჯებით დაუმსახურებლად გვიწოდებენ ჩვენ მკვლელებს, ანტიდასალელებს და ანტიევროპელებს. სინამდვილეში კი მათ არც ქვეყანა აინტერესებთ, არც ხალხი, არც მორალი და სინდისი აქვთ და ამიტომ ყველაფერს კადრულობენ.

ჩანაფიქრის განხორციელების მიზნით არსებობს საზოგადოების აბსურდში დარწმუნების ჯოზეფ ოვერტონის მეთოდი, რომლის მიხედვითაც საზოგადოებისათვის ყველაზე მიუღებელი იდეა, რომელიც საზოგადოების ყურს უნდა მიაჩვიო, შემდეგ შესაძლოა მისაღებ კატეგორიაში გადაიტანო, ხოლო ბოლოს შეგიძლია ამ იდეის მოწინააღმდეგე მტრად გამოაცხადო. სწორედ ამ მეთოდით ცდილობს ნაც. მოძრაობა საზოგადოებაზე ძალადობას.– განაცხადა **გელა ჩავლეშვილმა**.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატმა, **თათია ნიკოლაიშვილმა** 24 დეკემბერს ოზურგეთის პროკურატურას განცხადებით მიმართა და საკრებულოში განვითარებულ მოვლენებზე ობიექტურ გამოძიების დაწყებას მოითხოვს.

მისი თქმით, ნებისმიერი სახის ძალადობაზე შესაბამისმა უწყებამ სათანადო რეაგირება უნდა მოახდინოს.

– „გუშინ, საკრებულოს სხდომაზე ვიხილეთ სახედაკარგული „ქოც-ზონდერ“ ქალბატონები, რომლებიც გადაფარებული იყვნენ მერს. ძალიან მძიმე სანახავი იყვნენ ეს ადამიანები, რადგან ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადმოვიდნენ. მაქვს დაზიანებებიც. ფიზიკურ ძალადობას ჰქონდა ადგილი და ამასთანავე იყო „მუხლებზე გადამტვრევის“ მუქარა. შემაქვს განცხადება პროკურატურაში. ეს არის არა მარტო ჩემთვის გაკეთებული, არამედ ეს არის ყველა იმ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანისთვის, ვისაც არ უნდა ეშინოდეს, თუ ის თავის პროტესტს გამოხატავს და რაიმეს იტყვის მას ფიზიკურად გაუსწორდებიან და მუქარას განახორციელებენ მასზე. როცა ქალზე ძალადობაზეა საუბარი არ შეიძლება ფაქტი რეაგირების გარეშე დარჩეს. ძალადობა ყოვლად მიუღებელია”, – განაცხადა მედიასთან **თათია ნიკოლაიშვილმა**.

რა პროექტები განხორციელდება 2023 წელს ოზურგეთში

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული მზა პროექტების შესახებ იმსჯელეს.

გზების მშენებლობიდან ყველაზე დიდბიუჯეტიანი პროექტი **სოფელ კონჭკათის** ცენტრიდან **სოფელ შრომის (ორმეთი)** დამაკავშირებელი 6,8 კილომეტრი გზის რეაბილიტაციაა, რისთვისაც 5,358945 ლარი დაიხარჯება. აღნიშნული სოფელი ქ ოზურგეთს 38 კილომეტრითაა დაშორებული და 2014 წლის აღწერით 347 კაცი ცხოვრობდა (2002 წელს 579).

სოფელ შრომაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი – **ვაკისა** (2 132 მ) და **ზედუბნის** (1146 მ.) შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია მოხდება. (2 667790 ლარი). სხვა პროექტით სოფელში ახალი საბავშვო ბაღიც აშენდება.

2023 წელს სოფელ **ცხემლისხიდი (უჩხუბი) –სოფელ ვაკიჯვრის** დამაკავშირებელი გზის (4028მ.) რეაბილიტაციის პროექტი უნდა განხორციელდეს. მდინარე ნატანებზე მთავრდება 150 მეტრი სიგრძის ხიდის მშენებლობა., რის შემდეგაც უჩხუბი- ვაკიჯვრის თემს დაუკავშირდება.

მომავალ წელს განხორციელდება სოფელი **ბახვი-ვაკიჯვრის** დამაკავშირებელი შიდა სასოფლო გზის (2,9 კმ.)რეაბილიტაცია (დაიხარჯება 2,5 მილიონი ლარი).

საინტერესო ინფრასტრუქტურული პროექტები იგეგმება **სოფელ მთისპირში** – სოფლის ცენტრიდან **სოფელ უკანავას** დამაკავშირებელი 3,5 კმ. შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია. (2,6 მილიონი ლარი). გარდა იმისა, რომ ამ მაღალმთიან სოფელში (ზ/დ 360მ.) 120-მდე ადამიანი ცხოვრობს, 2013 წელს აქ აშენდა ოთხკასკადიანი „ბახვი 3 ჰიდროელექტროსადგური, რომლიც წლიურად 38 მილიონ კილოვატ საათ ელექტროენერგია გამოიმუშავებს.

მოხდება **დაბლა ვანისქედი-ბასილეთის** დამაკავშირებელი გზის (1,2 კმ.) რეაბილიტაცია (1,1 მილ. ლარი), რომელიც იმითაა საინტერესო, რომ ანალოგიურად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიც აპირებს ბასილეთი-დაბლა ვანისქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციას და მუნიციპალიტეტის ზემო სოფლების მოსახლეობა (ცხემლისხიდი, ფამფალეთი ვაკიჯვარი, მთისპირი) 20 კილომეტრით ნაკლები მანძილი ექნებათ გასავლელი ხიდისთავი-ბახმაროს და ბასილეთი-ჩოხატაურის დასაკავშირებლად.

2,1 კმ. შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია იგეგმება **სოფელ მაკვანეთშიც** (ბაღების უბანი). დაიხარჯება 1,4 მილიონი ლარი.

დაბა ლაითურში 3280 მეტრი შიდა გზა გაკეთდება, (2,5 მილიონი ლარი).

წლებია, გზის რეაბილიტაციის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავდა **ქ. ოზურგეთში** (ექადია) **გენო ჩხაიძის (ყოფ. იმედაშვილის)** ქუჩის მცხოვრებლები. ამჟამად პროექტი მზადაა და 1,3 კილომეტრი რთული რელიეფის გზის რეაბილიტაცია განხორციელდება (1,4 მილ. ლარი).

ქ. ოზურგეთში დასრულდება **დოლიძისა** და **ჭავჭავაძის** ქუჩების რეაბილიტაცია (1,8 მილ. ლარი); ასევე განხორციელდება **გორკის** ქუჩის (211მ, 211 370 ლარი.)რეაბილიტაცია.

ანასეულში იგეგმება **სუბტროპიკების** (1,8 კმ.). **მეცნიერების** (261 მ.) , **უნივერსიტეტის** (820 მ.) ქუჩების რეაბილიტაცია. (სამთავე პროექტზე 1,9 მილიონი ლარი დაიხარჯება).

ქ. ოზურგეთში, (იაკობ შემოქმედელის) ქუჩის ბოლოდან **სოფელ მელექედურის** ცენტრის დამაკავშირებელი 1,5 კმ. გზის რეაბილიტაციაზე 800 000 ლარი დაიხარჯება.

სასმელი წყლის სისტემები მოეწყობა **სოფელ ოზურგეთში, სოფელ ნაღობილევში (პირველი ბრიგადა), დაბა ნასაკირალში.** აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად 15 მილონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

ამ ეტაპზე არსებული მზა პროექტების განსახორციელებლად მომავალ წელს 32,7 მილიონი ლარი დაიხარჯება.

აღნიშნულ პროექტზე საკრებულომ შესაბამისი განკარგულება მიიღო.

ინფორმაცია „ბახვი 2 ჰესის“ გზშ-ს საჯარო განხილვის შესახებ

2022 წლის 21 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელი მთისპირის ადმინისტრაციულ შენობაში მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი „ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ („ბახვი 2ა“ და „ბახვი 2ბ“) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა.

საჯარო განხილვის ორგანიზატორი გარემოს ეროვნული სააგენტოა. „ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტი სააგენტოს წარმომადგენელმა წარადგინა. პროექტის განვითარების მენეჯერმა **ვალერი ხაჩიძემ**, პროექტის ტექნიკური პარამეტრების შესახებ ისაუბრა; განხორციელებული კვლევები და გარემოსდაცვითი საკითხები კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **ნანა ბერძენიშვილმა** მიმოიხილა, სოციალური პროგრამის შესახებ კი კი განმახორციელებელი კომპანიის ბახვი ჰესის დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა ისაუბრა.

მთისპირში მიმდინარე საჯარო განხილვას ესწრებოდნენ მთისპირში მერის წარმომადგენელი ვლადიმერ ჩავლეშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძოდ, გარემოსდაცვითი ორგანიზაციის „ეკოს“ დამფუძნებელი ირმა გორდელაძე და ინოვაციების და ცვლილებების ინსტიტუტის ხელმძღვანელი ოთარ რევიშვილი, საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები და საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული სოფლების (მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი და უკანავა) მოსახლეობა.

მთისპირში გამართული საჯარო განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მოსახლეობის ინტერესის საგანი იყო დასაქმების შესაძლებლობები და გარემოსდაცვითი ასპექტები. აღსანიშნავია, რომ 2 საათიანი განხილვის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ მხარდაჭერა გამოუცხადა პროექტს. აღინიშნა, რომ უკვე მეორე წელია კომპანია და მისი თითოეული თანამშრომელი აქტიურად მუშაობს დაინტერესებულ მხარეებთან. დადებითად შეფასდა ის ფაქტი, რომ პროცესი სრულიად გამჭვირვალეა, კვლევები, რომელიც კომპანიამ განახორციელა საერთაშორისო დონის ექსპერტების ჩართულობით, პროექტის ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესება, მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივებისთვის პროექტის მიმართ დადებითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ პროექტში შეიცვალა და გაუმჯობესდა ტექნიკური პარამეტრები, უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები კი, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს გარემოს ეროვნული სააგენტო.

„ბახვი 2“ ჰიდროელექტროსადგურის გზშ-ს ანგარიში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაბარდა 2022 წლის 20 ოქტომბერს და სამინისტროს ოფიციალური გვერდზე გასაჯაროვდა 2022 წლის 14 ნოემბერს.

გთხოვთ, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული განცხადება იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://nea.gov.ge/Ge/GZSH/1048

დაფინანსებული ფართი.

„ვარიაციები კონკიას მიხედვით“

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საბავშვო პრემიერა შედგა – „ვარიაციები კონკიას მიხედვით“.

კონკიას უნაკლო ისტორია კვლავ იპყრობს პატარების გონებას თავისი მომხიბლავი სიუჟეტით. წლების განმავლობაში კონკიას მრავალი ვერსია დაიწერა, სწორედ ამიტომ, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი წარმოგიდგენთ კლასიკური ზღაპრის ვარიაციებს.

საახალწლო, გასართობი, მუსიკალური შოუ-პროგრამა, პატარების საყვარელი გმირებით კიდევ ერთხელ გამოგზაურებთ სიკეთისა და ბოროტების ჯადოსნურ სამყაროში. ოცნებიდან რეალობამდე, ისტორია ბედნიერი დასასრულით.

დღეს, თეატრის სტუმრები ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის მოსწავლეები იყვნენ.

აღნიშნული სპექტაკლი 30 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად დღის 3 საათზე გაიმართება. 3 იანვარს კვლავ განახლდება სპექტაკლის ჩვენება და 7 იანვრის ჩათვლით შეგიძლიათ ესტუმროთ თეატრს.

ამბავი ილიას მოძღვარ ალექსანდრე ეპისკოპოსისა და საქართველოს მომავალი პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის გახსენებისა

ილია ჭავჭავაძის სიტყვა წარმოთქმული 1998 წლის 17 მაისს სიონის საკათედრო ტაძარში, „სადაც თბილისის საზოგადოებამ გაცილება მოუწყო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად დანიშნულ მღვდელმთავარს“ (ჯ. გამახარია):

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ! მე ვბედავ თქვენს წინაშე ხმის ამოღებას დღევანდელ დღეს არა იმისთვის, რომ თქვენ ჩემს ქება-დიდებას საჭიროებდეთ. თქვენი საქმენი, თქვენი ღვაწლ-მოსილი სიცოცხლე ჩემზედ უკეთესად ჰღაღადებსთქვენს ქებასა და დიდებას და ჩემი თქმა რას მიუმატებს თქვენს სათნოებით მოპოებულს სახელს.“

„ნამეტანობაში ნუ ჩამომართმევთ და გულით წმიდით ვიტყვი, რომ სჩანს ღმერთს კიდევ არ დავვიწყებივართ, რადგანაც თქვენისთანა სათნოებიან კაცს მოუვლენს ხოლმე ჩვენს ქვეყანას და რაკი თქვენისთანაებსა ვხედავთ, გულს კვლავ ერჩის წუთი სოფლისაგან ღონე მიხდილი სასოება და წუთი სოფლისაგანვე გამოჭრილი იმედები უკეთესის დღეებისა. უღონობა ქვეყნისა მარტო უფულობაა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეხლა ბევრსა ჰგონია, არამედ ისა, როცა სათნოებიანი, კეთილ მომქმედი, მაღალ ზნეობის კაცი არა ჰყავს, სიმაგრე ქვეყნისასა, ქვეყნის ძალ-ღონე, რის შემნახველი და გამადიდებელი, ქვით-კირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სასოებანი კაცი ქმნის ამ წუთი სოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს ადიდებენ და სამოთხედ, რაცა ბედნიერება ადამიანისას ასულდგმულებს“.

„თქვენის ცხოვრების წმიდათა-წმიდად ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და მეორე თქვენი სამშობლო ქვეყანა.

ღმერთს მღრთისას აძლევდით და ქვეყანას ქვეყნისასა და ორსავ ემსახურებოდით ერთმანეთს დაუკლისად გულ-მხურვალებით და სიყვარულით. ერთი წუთიც არ ვიცით თქვენის სიცოცხლისა, რომ ცხოველ-მყოფელი შუქი, ამ ორკეცს სიყვარულისა არ მოჰფენდეს თვითეულს თქვენს საქმეს, აქ თვითეულს თქვენს მოქმედებას, ქვეყანას ემსახურებოდით, მღერთისათვის ღმერთს ადიდებდით ქვეყნისათვის, რადგან ღმერთი არს სიყვარული და სიყვარული მხსენელია ქვეყნისა“. თქვენი სიცოცხლე მთელი და განუწყვეტელი სათნოებაა, სათნოება რომლის მაგალითს მარტო იმ მადლით ცხებულს მღვდელ-მონოზვნების შორის ვპოულობთ, რომელნიც ერთ დროს ყოფილან ჩვენში, ჩვენდა საუბედუროდ ეხლა აღარ არიან, თქვენ ხორცი დაუმორჩილედ სულს და ერთი უდიდესი სათნოებაც ეს არის. გშიოდათ არ სჭამდით, გწყუროდათ და არ სვამდით, გციოდათ და არ თბებოდით იმისთვის კი არა, რომ ვითაარცა ანგარმა და ძუნწმა ოქრო და ვერცხლი მოიხვეჭოთ, არამედ იმისთვისა რომ რაც საკუთრად თქვენის თავისთვის არ გემეტებოდათ, რასაც თქვენს თავს აკლებდით, ის სხვას შეჰმატეთ, სამადლოდ, საქვეყნოდ გაეცით, თქვენს სამშობლოს მოახმარეთ, მართალი უთქვამს, ვინც სთქვა, რომ ორ ნაირი სათნოებაა ქვეყანაზე ადამიანის ღირსების აღმნიშვნელი. ერთი უქმი, რომელსაც მისდევს არა ქმნა ბოროტისა, მეორე მოქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა. პირველ მაგდენი – ვერაფერი ღვაწლია... სადიდებელი კაცისა, მეორე მომქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა, პირველი მაგდენი ვერაფერი ღვაწლია, სადიდებელი კაცისა, მეორე სათნოებაა და ამისთანა სათნოების პატრონი თქვენა ბრძანდებით“.

„თქვენ აღგვიდგინე ჩვენი დავიწყებული წმინდანნი შიო მღვიმელი და იოანნე ზედაზნელი, სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩემის ფიქრით კი კაცი ის არის, ვისაც გულითადი რწმენა რისამე აქვს ქვეყნის საკეთილ დღეოთ მის მიერ აღიარებული და იმ რწმენას ემსახურება თავდადებით, თქვენ გწამთ რომ ადამიანის მხსნელი, მისი ხელთმძღვანელი და განმწმენდელ მისი სჯული და სარწმუნოებაა“ და ამ გზაზედ ღვაწლმოსილებისათვის არა დაგიზოგიათ რა. ამისდა მოწმად თქვენ მიერ აღდგენილი მონასტრებია, ეს ნაშთნი ჩვენის სულიერად ზე აღსრულებისა. აქ მეტია თვითეულის თქვენის ღვაწლის ჩამოთვლა და მარტო ამას ვიტყვი, რომ თქვენი მადლით ცხებული მარჯვენა ყველგან მიგიწვდენიათ, საცა კი თქვენის ქვეყნის, თქვენის ერის საკეთილდღეოდ საქმე რამ აჩენია, არ არის არც ერთი საერო საქველმომქმედო საქმე ქართველთა რომ თქვენი უხვი წვლილი არ ერიოს, თქვენი ლოცვა კურთხევა წინ არ მიუძღვოდეს, თავს არ დასტრიალებდეს.

„მარტოდ ისიც საკმარისია თქვენის მადლობის ხსენებისათვის, რომ თქვენის მეოხებით, თქვენის ღვაწლით, თქვენის მამობრულის სიყვარულით გამოუზარდეთ ჩვენს ქვეყანას იმისთანა შვილი, როგორიც ახლად ნაკურთხი ეპისკოპოსი ლეონიდეა. ჩვენ კაცებით ღარიბნი ვართ და ჩვენთვის თქვენგან გაზრდილი – თქვენის მაგალითიდ განწრთვნილი, თქვენის ხელისა და გულის თანამოზიარე განძია, ჩვენ შევხარით ჩვენს ახალს ეპისკოპოსს სასოებით და იმედითა, იმიტომ რომ თქვენი – გაზრდილია, თქვენი სულიერი შვილია, და ყოველი მსგავსი მგავსსა შობსო ნათქვამია“.

„თქვენ გაზრდილს დიდი ეკლიანი გზა უძევს წინ, თუ სიყვარულს ქვეყნისასა თქვენებრ წინ წაიძღვანებს და მსახურება მისი მსახურება იქმნება ქვეყნისა. ეს გზა გზაა საკუთარის თავის განწირვისა, წამებისა, ნამეტნავად ჩვენში, რაც უმადურება და კილვა ისე ხშირია, როგორც არსად. ჩვენ იმედი გვაქს, რომ თქვენი გაზრდილი, თქვენი განწვრთნილი არა ეკალს არ შეუშინდება და თქვენს მაგიერობას გაგვიწევს. მაგიერობას მეთქი!.. მოგვიტევეთ, გული კაცისა ხარბია! თქვენი ბედი გვენატრება. ნუ თუ თქვენ თითონ არ ინებებდით, რომ თქვენი გაზრდილისაგან მეტი მოითხოვოთ, მეტი მოველოდინოთ, თქვენ მამა ხართ და ეგ თქვენი შვილია და რადგანაც ის გვირჩევნია მეტი მოველოდინოთ. „ის ურჩევნია მამულსა რომ შვილი სჯობდეს მამასაო.“ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ თვითონ ჩვენზედ უფრო მეტის ნატვრით ინატრებდი, რომ თქვენი გაზრდილი თქვენ დაგემჯობინოთ ჯერ ღვთით და მერე თქვენისავე კურთხევითა“.

ამისი და, ამ ჩვენის კადნიერების რწმენის თავმდები და საწყაული თქვენი მამაშვილური სიყვარული, რომლის წინაშე ქედს იხრის ყოველივე სხვა პირადი გრძნობა პატიოსანი კაცისა. ჩვენ მართლად საყვარელო და ღირს სახსოვარო მღვდელმთავარო!

თქვენ აქედამ მიბრძანდებით, მაგრამ მღვთის მადლით ჩვენის ქვეყნიდამ კი არა. იქაც ჩვენი ქვეყანაა და ჩვენი ერია, ჩვენი ძმები არიან, ჩვენ აქ გიახელით სამგზამშვიდობორო მოგახსენოთ და თქვენს წინაშე ღმერთს ვთხოვოთ თქვენი დღეგრძელობა და თქვენგან ლოცვა კურთხევა მივიღოთ. მოგვირთმევია მცირე-ოდენი ძღვენი ესე ჩვენდა სახსოვრად კი არა, ჩვენ უამისოთაც გეხსომებით მთელ საქართველოსთან ერთად, რადგანაც შვილნი ვართ საქართველოსი, რომელსაც დღეთა თქვენთა სწირავთ უორგულობითა და სიყვარულითა... მიიღე ნიშანი ჩვენი გულითადის მადლობითა და უღრმესის პატივისცემას და გიხაროდენ, რომ შენის ქვეყნის შვილნი მოიწიფენ იმოდენად, რომ შეძლებისამებრ მადლობას უხდიან მადლობის ღირს კაცს. გიხაროდენ იმიტომ, რომ ესეც ერთი ფეხის წინ წადგომაა, ერთს საფეხურით ზე აღსვლაა თქვენის შვილებისა, რადგანაც მარტო ბრმამ და უკეთურმა არ იცის სხვის სიკეთის დანახვა, სხვისი ღვაწლის დაფასება. თქვენ მიბრძანდებით ჩვენგან და ვწუხვართ, რომ ჩვენ გვშორდები, მაგრამ ჩვენთა იმერ ძმათა სიყვარული ანელებს ჩვენს მწუხარებას და გვამხნევებს ჩვენ. ჩვენგან მეტის მეტი გულ-ძვირობა იქმნებოდა, რომ ეს ასე არ იყოს. ჩვენ მწუხვართ თქვენი წასვლით და გვიხარიან თქვენი იქ მისვლა, ჩვენ ვაკვლდებით და ღვთის მაღლით, იქ შეგვემატებით. ყველგან ჩვენს ქვეყანაში საჭიროა ამისთანა კაცი, რომლის მიხედვით და მაგალითით იწურთნება ხასიათი, იწმინდება გონება და გული ადამიანისა. უხაროდეთ მათ, სადაც თქვენ მიდიხართ, და ჩვენ ეს არ გვშურს, რადგანაც იქაც ჩვენები არიან, თუნდ ესეც არ იყოს, თქვენი ცხოვრება სათნოების სკოლაა ჩვენთვის და ამიტომაც მარტო ერთი ხსენება თქვენის სახელისა ჩვენი მწვრთვნელია. ოჰ, რა ბედნიერია იგი კაცი, რომელიც გვწრვთნის და გვასწავებს ჩვენ არამც თუ ჩვენთან ყოფნით, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებითთაცა, ამბობს ნატვრით ერთი ძველი ბრძენი. ამისთანა ბედნიერი ხართ თქვენ, საცა გინდა ბრძანდებოდეთ. იყვენით კვლავაც ესე ბედნიერი ჩვენდა თავმოსაწონებლათ და ნუ მოაკლებთ თქვენს ლოცვა-კურთხევას თქვენს ღვაწლს, თქვენს საყვარელს ქვეყანას, ერს. თქვენს სიყვარულს თქვენი საყვარელი ქვეყანა, საცა გინდა ბრძანდებოდეთ, არ დაივიწყებს. ადიდე კვერთხი ესე, და წარიყვანე ერი შენი გზასა სიმართლისა და სარწმუნოებისასა.

„დაგვლოცე და შენის მადლიანი ხელით გვაკურთხე შენი მადლობელნი და შენ მიერ ღვაწლ-დებულნი.“

კიდევ უნდა ვთქვა რამე?!

არა მგონია!

„მატიანეს“ ახალი გვერდი უნდა „ჩამოვსქროლო“.

გიო კილაძე

გაგრძელება, დასაწყისი ალიონი №24–33

„ფეხზე დაგიდგები ჩემო საქართველოვ!“

რაჭის ლამაზ სოფელ კვაშხიეთში დაიბადა... ცხოვრებისა და შემოქმედების რთული გზები განვლო, საქართველოს ყველა კუთხე მოიარა და გემოვნებიანი, დახვეწილი და მომთხოვნი ქართველი მკითხველის გული მოინადირა. მან ქართულ პოეზიაში დაამკვიდრა საკუთარი ინტონაცია, თავისთავადი, სხვა თანამოკალმეთაგან გამორჩეული ხმა. მისი პოეზიის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ქართული პოეზია.

სამწუხაროდ, მოსწავლეებს არა აქვთ ფუფუნება, რომ საფუძვლიანად იცნობდნენ მ. ლებანიძის შემოქმედებას. თავად სახელმძღვანელოები არ იძლევა ამის შესაძლებლობას, რაც, ვფიქრობთ, მიუტევებელი შეცდომაა სასწავლო მასალის შემდგენლების მხრიდან. სწორედ, ამგვარი გულგრილი დამოკიდებულება ქმნის გაუცხოებს იმ დიდ შემოქმედთა მიმართ, ვისი ცოდნაც წამალივით სჭირდება ახალ თაობას ეროვნული ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად.

მ. ლებანიძე ის დიდოსტატია, რომელიც მთელი თავისი გრძნობითა და შემოქმედებით დაკავშირებული იყო სოფელთან. სვანეთის და რაჭის თემაზე შექმნილი ლექსები რომ განსაკუთრებული ექსპრესიულობით გამოირჩევა ეს ნათელი გამოხატულება იყო სოფელ შრომის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეების მიერ პოეტის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია ,,ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველოვ!“ . პატრიოტულს ენაცვლებოდა სიყვარულისა და ქალის თემაზე შექმნილი ლექსები. როცა გალაკტიონ ტაბიძის შთაგონებით გაცოცხლებულ პოეტურ სტრიქონებს ვისმენდით, წარმოუდგენელი იყო, არ გაგვეაზრებინა ის ფაქიზი დამოკიდებულება მურმან ლებანიძეს ,,პოეზიის მეფესთან“ რომ აკავშირებდა, უხილავი ძაფებით აბამდა.

მოსწავლეებმა ანდრია მალასიძემ, სანდრო ძნელაძემ, ცოტნე გუჯაბიძემ, მიხეილ მჟავიამ, კესარია მექოშვილმა, ნიკოლოზ ხომერიკმა, ქრისტინა მუკუტაძემ, გიორგი სარდლიშვილმა, თამარ ლაღიძემ, დავით კუტალაძემ და ასევე ეკალდიდის შერწყმული სკოლის VII კლასელებმა ლიზა და ზალიკო ფუტკარაძეებმა არა მხოლოდ დეკლამირებით გამოიჩინეს თავი, გააცოცხლეს პოეტის სახე, შეეხენ მისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს, მოგონებებს, ომგამოვლილ და ნამეხარი მამულიშვილის განცდებს, პირად, ადამიანურ ტკივილებს. საინტერესოდ ისაუბრეს მ. ლებანიძის შემოქმედების მრავალფეროვან თემატიკაზე, ასევე მის მთარგმნელობით მოღვაწეობაზე.

საკლასო ოთახი ესთეტიკურად იყო მორთული. პოეტის პორტრეტი და ლექსების შთაგონებით შესრულებული ნახატები ქმნიდა ლამაზ, პოეტურ გარემოს, ემოციურსა და ამაღელვებელს.

ღონისძიება მოამზადა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა რუსუდან ცეცხლაძემ გოგონათა ანსამბლ ,,ოცნების“ (ხელმძღვანელი, მუსიკის მასწავლებელი ნინო ჩხაიძე) სოლისტებმა: კესარია მექოშვილმა, ლინდა ნადირაშვილმა, ქეთი აცანელიძემ, ანანო ჩხიტუნიძემ, გვანცა ხვედელიძემ, ნინო მაისურაძემ, თათია გულიაშვილმა იმღერეს ,,მელიქიშვილის გამზირი“ და ,,გაზაფხული შემოსულა, ლენ“

და ბოლოს ითქვა, რომ 2002 წელს ეს საწუთრო დატოვა უპირველესმა მოქალაქემ და მამულიშვილმა, თანამედროვეობის თვალსაჩინო პოეტმა-მოაზროვნემ მურმან ლებანიძემ... მაგრამ დიდი პოეტი როდის იყო უკვალოდ ქრებოდა! მურმან ლებანიძე, მისი ფესვმაგარი პოეზია კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს... ეს არის დაუსრულებელი არსებობა!... ეს მარად ცოცხალი პოეზია გვაფხიზლებს და გვამხნევებს ეს სოფლები: ეს ლიქოკი, ეს არხოტი, ცარიელა ეს პარტახი საიგავო,

მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს.

მაშ, გიყვარდეთ, გაუფრთხილდით და მოუარეთ საქართველოს!

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია

კაცი, რომელიც მე–20 საუკუნის მსოფლიო გინესის რეკორდების ათეულშია



ალიონი. დიმიტრი ქინქლაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიიდანაა. აქ დაამთავრა სკოლა. შემდეგ ქ. ბათუმში გადავიდა და დღემდე იქ ცხოვრობს. კარგად ხატავდა და სამხატვრო სკოლის დასრულების შემდეგ მხატვრად მუშაობდა. პარალელურად ჭიდაობდა,მძლეოსნობაშიც ვარჯიშობდა. ამბობს, რომ ბათუმში მაშინ ცხოვრობდა უცხოელი (ბაღდადელი) არამ კუკი და სწორედ მასთან ვარჯიშობდა მძლეოსნობაში – ბირთვის კვრაში, ბადროს, შუბის ტყორცნაში. სპორტის ამ სახეობებში აქვს კატეგორიები მინიჭებული. შესანიშნავად ცურავს, ბათუმიდან ფოთამდე გაცურვას აპირებდა, მაგრამ ხელი არ შეუწყვეს (უშიშროების გენერალ-ლეიტენანტ პანტელეიმონ გიორგაძის მცველის მოვალეობას ასრულებდა, როცა ის ბათუმში იმყოფებოდა). სხვათა შორის მისი აღნაგობის გამო, იუგოსლავიისა და გერმანიის ერთობლივ ფილმშიც მიიწვიეს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო აღარ გადაიღეს...

საკმაოდ ვრცელი რეგალიები აქვს: ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი თავისუფალსა (1964 წ.) და კლასიკურ ჭიდაობაში (1965 წ.) ამ სახეობებში აჭარის მრავალგზის ჩემპიონი...საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი. ოლიმპიური ორდენისა და „რაინდის“ წოდების კავალერი.

იგი შეყვანილია გინესის რეკორდების წიგნში (1997-2002 წ.წ.) ასევე მსოფლიო გინესის რეკორდების ათეულში.

დიმიტრი ქინქლაძე გინესის რეკორდების წიგნში გირების ყურებით აწევაში შეიტანეს. ზოგი ორი ხელით ვერ წევს ორფუთიან გირებს, მან კი ეს ყურებით შეძლო. პირველად ვარჯიში ორფუთიანი გირებით დაიწყო, ხოლო რეკორდი მარცხენა ყურით –32, მარჯვენათი 16 -კილოგრამიანი გირების ერთდროულად აწევაში დაამყარა.მარცხენა ყური უფრო ძლიერიაო-ამბობს.

ორი წლის წინ როცა მას 80 წელი შეუსრულდა, გაზეთმა „აჭარა“ ჩაიწერა მისი ინტერვიუ:

„– *რამ მოგაფიქრებინათ ასეთი ნომერი?*

– თავიდან სანაძლაოდ ვაკეთებდი. მერე მეგობარმა ედნარ ლომინაძემ სარეკორდოდ წამაქეზა.

–*რამდენი წლის იყავით მაშინ?*

–57-ის.

–*ასე გვიან დაიწყეთ?*

– არა, ადრე სულ ვვარჯიშობდი, ფიზკულტურა დღესაც ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სარეკორდოდ მომზადებაში ჩვენი მეგობრები აჭარის ტელევიზიიდან –სპორტული წამყვანი ჯაბა აბულაძე და რეჟისორი სოსო სტურუა დაგვეხმარნენ. მათ გადაიღეს ჩვენი ვარჯიშები. მერე ბათუმელი რეჟისორი სერვეთ ვერძაძე დაგვეხმარა და გადაღებული მასალა ინგლისში, საქართველოს საელჩოში გააგზავნა. არ დაიჯერეს, რომ ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო. სპეციალურად ჩამოვიდნენ ინგლისიდან, რათა საკუთარი თვალით ენახათ და დარწმუნებულიყვნენ. მერე თავადაც გადაიღეს და ჩანაწერი წაიღეს. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც უცხოელებიც შედიოდნენ –რეკორდების წიგნის ოფისის წარმომადგენლები. ეს სპორტული სანახაობა ბათუმში 1997 წლის 2 ნოემბერს გაიმართა...თავად გინესის წიგნში წერია– ეს რეკორდი 10 წუთს გაგრძელდა...“

როგორც მისმა ბავშვობის მეგობარმა, მერიელმა **ვახტანგ მარგალიტაძემ** გვითხრა, დიმიტრი ქინქლაძემ შემდგომში ეს რეკორდი გააუმჯობესა, თუმცა მის ოფიციალურ დაფიქსირებაზე აღარ უფიქრია.

ვახტანგ მარგალიტაძის თქმით, დიმიტრი ქინქლაძე ბავშვობიდან გამოირჩეოდა ძლიერი ფიზიკური მონაცემებით.

– *ჩვენ ერთად ვვარჯიშობდით მძლეოსნობაში, ბადროს ტყორცნაში, ბირთვის კვრაში, შუბის ტყორცნაში, კარგი შედეგები მქონდა, მაგრამ იგი განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩეოდა. 13-14 წლის ვიყავით, სოფელ მერიის სკოლაში შესვენებისას მისი „რეკორდების“ მოწმე ვიყავით– ხელით ღუნავდა და შემდეგ გრეხდა 2-3 ცალ 200 მილიმეტრიან ლურსმანს.*

მან სავალდებულო სამხედრო სამსახური ბალტიისპირეთში გაიარა –სპეციალურ ნაწილში მსახურობდა. ჯარის დასრულების შემდეგ ყაზახეთში, ყამირზე მოუწია 3 წელი ყოფნა. აქ მგლები ბევრნი იყვნენ...ერთხელ ნახა, როგორ დაახრჩო მგელმა კვიცი და შურისძიება გადაწყვიტა.

მგელს ჩაუსაფრდა, როცა კვიცების სადგომთან მივიდა, თავს დაესხა. მტაცებელს მარჯვენა ხელით კეფაში წვდა, ხოლო მარცხენა ხახაში გაუყარა. 2 წუთზე ცოტა მეტ ხანს არ შეუძლია მგელს უჰაეროდ ყოფნა, შემდეგ იგუდება. როცა მგელი კუდის მოძრაობას შეწყვეტს მკვდარია... ზოგჯერ იტყუება და თავს იმკვდარუნებს.... გაზეთში წავიკითხე, მსგავსი რამ სვანეთში მოხდა. იქაურმა მონადირემ მგელი ხელით დაახრჩო...

მიუხედავად იმისა, რომ 82 წლისაა, დღესაც აგრძელებს აქტიურ სპორტულ ცხოვრებას. ყოველდღიურად ნახავთ დარბაზში და ყველა ასაკის სპორტსმენს ავარჯიშებს.

ჰუმანური კაცია. ძალიან უყვარს ცხოველები და ქუჩაში გაშვებულ უპატრონო ცხოველებსაც უვლის. მუდამ აქვს მათთვის საკვები.

დიმიტრი ქინქლაძეს სტუმართმოყვარე ოჯახი აქვს. მეუღლე ლიანა კიკალეიშვილი ყველას გულთბილად ხვდება. მისი დამსახურებაა, რომ 82 წლის დიმა ქინქლაძე დღესაც ჩვეულებრივად დადის სამსახურში და თავის ცოდნა-გამოცდილებას მომავალ თაობას გადასცემს.

ვულოცავთ ბატონ დიმიტრის დამდეგ შობა-ახალ წელს და ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ!

ს კ ა ნ ვ ო რ დ ი

1

ძველი ჩაის მადუღარა

გიგანტური პლანეტა

დიუმას პერსონაჟი

სანტაკლაუსის სამშობლო

ეგვიპტური საოცრება

ქალაქი უზბეკეთში

მოსავლის პირველადი დასაწყობება

პატარა ცხენი

ელჩი, წარმომადგენელი

თევზის ჯიში

ბურატინოს პაპა

ხმალი

მძივი

წყალმარჩხი

ყავა

წონის ერთეული

ტროპიკული ხილი

ზღვის ღმერთი

კურორტი

იაპონური ხმალი

ტროპიკული ხე

საზოგადოების გაერთიანება

იტალიური დესერტი

მდინარე საქართველოში

ინგლისური საფეხბურთო კლუბი

პასუხები:

იური სიორიძე – მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა განვლოს ადამიანმა წუთისოფელი

ალიონი. 28 დეკემბერს 30 წელი შესრულდა ოზურგეთის ყოფილი უფროსის **იური სიორიძის** გმირული დაღუპვიდან.

რთული იყო გასული საუკუნის 90-იანი წლები საქართველოში. 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სამოქალაქო ომის შემდეგ ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ამ დროს ოზურგეთის პოლიციას გამოცდილი იურისტი იური სიორიძე ხელმძღვანელობდა. ბევრ ოზურგეთელს ახსოვს იმჟამინდელი პოლიციის წინ,სკვერში, ასეულობით ოზურგეთელის წინ პოლიციის უფროსის სიტყვები: **„ან წესრიგს დავამყარებთ ოზურგეთში, ან შევეწირები ამ ბრძოლას..**“ მართლაც, ძალიან მალე,1992 წლის 28 დეკემბერს, მდინარე ჩოლოქის პირას ბანდიდეტებთან ბრძოლას შეეწირა მისი სიცოცხლე. მასთან ერთად დაიღუპა მისი თანამებრძოლი, ოფიცერი **ნუკრი სეფერთელაძე** და მძიმედ დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი.

მისი და მისი თანამებრძოლების პატივსაცემად ყოფილი პოლიციის წინ, სკვერში გაკეთდა მემორიალი, დაიდგა მისი ბიუსტი. სიკვდილის შემდეგ დააჯილდოეს ვახტანგ გორგასლის მედლით. იური სიორიძის სახელი მიენიჭა იმ ქუჩას, სადაც იგი ცხოვრობდა. ასევე, მისი მშობლიური სოფლის – კონჭკათის საჯარო სკოლას. ამ სკოლაში მოეწყო იური სიორიძის სახელობის მუზეუმი.

რამდენიმე ხნის წინ ჩვენი გაზეთის არქივში მივაკვლიეთ ვ. ფატრიძის (ვაჟა ჭანუყვაძის) სტატიას, რომელიც იური სიორიძის ცხოვრების ადრეულ წლებს ეძღვნება. გთავაზობთ ამონარიდებს ამ წერილიდან:

„სურათზე თქვენ ხედავთ იური სიორიძეს. ხომ არ გეცნობათ? ბევრს ალბათ არც გაგიგონიათ მისი სახელი. ყველა ადამიანი ერთბაშად არ გამხდარა ცნობილი. მოვა დრო და ამ თავმდაბალ ახალგაზრდასაც უფრო მეტად გამოაჩენს მისი შრომა და საქმიანობა.

მაღალი, წარმოსადეგი ტანის ყმაწვილია იური. მასში დაკვირვებული კაცი ადვილად შეამჩნევს ფიზიკურ ძალასაც და იმ დიდ სულიერ გულკეთილობას, რომელიც ცისფერი თვალების სიღრმიდან გამოსჭვივის. იგი შეიყვარეს კონჭკათელმა მშრომელებმა და ახალგაზრდებმა საერთო საქმის ერთგულებისთვის, შრომისმოყვარეობისთვის, ნდობა გამოუცხადეს და საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა... ჩაუდგა თუ არა იური ახალგაზრდობას სათავეში, მუშაობაც გამოცოცხლდა. იგი პირადი მაგალითით უჩვენებს სხვებს, თუ როგორ უნდა საერთო საქმისთვის ბრძოლა, დადებული პირობების პირნათლად შესრულება.. თვით იურიმ, რომელსაც 0,5 ჰექტარი საყანე ფართობი ჰქონდა მოსავლელად გაპიროვნებული, ჰექტარზე გადაყვანით 75 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

შემდეგ კონჭკათელმა ახალგაზრდებმა საინტერესო ინიციატივის აღება გადაწყვიტეს – გამოუყენებელი არ დაეტოვებინათ არც ერთი ჰექტარი მიწის ფართობი. დაამუშავეს 3 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა. მასზე დარგეს 1500 ძირი კაიფერას ჯიშის მსხლისა და 500 ძირი თუთის ნერგი...

კონჭკათში ახალი ძალით აჩქეფდა სპორტული მუშაობა,რასაც ერთი მხრივ იმანაც შეუწყო ხელი, რომ თვით ახალგაზრდობის ხელმძღვანელია სპორტზე შეყვარებული. იური პირველთანრიგოსანი მოჭიდავეა. 1960 წელს დაიწყო სპორტის ამ სახეში მეცადინეობა და მალე საუკეთესო შედეგებსაც მიაღწია. იგი რაიონის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წევრია. ხშირად საუკეთესოშედეგით გამოსულა რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც..“ (გაზ. „ლენინის დროშა,15 აპრილი, 1962 წ. №46).

იური სიორიძემ სწავლაშიც და სპორტშიც მალე დიდ წარმატებებს მიაღწია. თსუ-ს სტუდენტი საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების წევრი იყო და სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე უკვე სპორტის ოსტატის რანგში ჩემპიონი გახდა. ამას არერთი გამარჯვება მოჰყვა თანაგუნდელებთან ერთად საერთაშორისო და სხვადასხვა ტურნირზე.

„...იური სიორიძე – ჩემი და ყველა ქართველის საუკეთესო მეგობარი და სპოტსმენი, კეთილშობილი პიროვნება.ოზურგეთის სოფელ კონჭკათიდან გახლდათ. მაღალი სიმეტრიული აღნაგობის, ლამაზი შესახედაობის, მძიმე წონის კლასიკური სტილის მოჭიდავე. ერთად ვჭიდაობდით.სტუდქალაქშიც ვცხოვრობდით. მრავალი წელი სტუდქალაქის (5 500 სტუდენტი ცხოვრობდა იმჟამად) გაერთიანებული სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარე იყო. მე მე-12 კორპუსის სტუდსაბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. მრავალფეროვან ღონისძიებებს ატარებდა და სტუდენტურ ცხოვრებას მეტ ხალისს მატებდა. მოსიყვარულე, თბილი ხასიათის ახალგაზრდა იყო. იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. თბილისში მუშაობდა. შემდეგ თავის მშობლიურ რაიონის მახარაძის – ოზურგეთის მილიციის უფროსი, პროკურორი, მიუხედავად ასეთი ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსანი იყო, ყველა პატივს ცემდა და აფასებდა. ნაძირლების ბანდიტების დაპატიმრებისას ააფეთქეს... და საქართველოს ულამაზესი სულის პატრონი ქართველი გამოაკლდა. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.ამინ!“ – ასე იხსენებდა იური სიორიძეს მისი სტუდენტობის მეგობარი საქართველოს სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სამედიცინო სამსახურის გვარდიის პოლკოვნიკი **იური გალდავა.**

1992 წელს იგი საქართველოს ნაკრებთან ერთად თურქეთში დიდ საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა. მისი თავკაცობით დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრებმა გუნდმა პირველ დიდ წარმატებას მიაღწია... მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ხსოვნის პატივსაცემად ოზურგეთში მისმიერ შექმნილ საჭიდაო კლუბში „ფალავანი“, სადაც არაერთი სახელოვანი მოჭიდავე აღიზარდა, გაიმართა იური სიორიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირები, რომლის სტუმრები იყვნენ მისი მეგობრები – მსოფლიო და ევროპის არაერთგზის ჩემპიონები, არაერთ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული სახელოვანი სპორტსმენები.

შესანიშნავი მეუღლე–ქალბატონი ლამარა არაშიძე (ნათელი მის სულს), დიდი სიყვარულით შექმნილი ოჯახი. საუკეთესო შვილები –მერაბი და ზაზა, მათი ოჯახები.

მერაბი წლების მანძილზე ოზურგეთელი ახალგაზრდების ლიდერი იყო, შემდეგ სპორტის განვითარებას ხელმძღვანელობდა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მან შექმნა დამოუკიდებელი რეგიონალური ტელეკომპანია „გურია,“ რომელმაც მალე დიდი აღიარება მოიპოვა. მერაბი დედაქალაქში გადასვლის შემდეგაც წარმატებით მოღვაწეობდა ბიზნესის სფეროში. სამწუხაროდ, დიდი ხანი ებრძოლა სენს,მაგრამ წელს, გაზაფხულის ბოლოს გარდაიცვალა.

ზაზა სიორიძე –წარმატებული ბიზნესმენი და ბანკირი. 1995-2000 წლებში იყო საქართველოს პარლამენტში ოზურგეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. მიუხედავდ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, იგი მაქსიმალურად ცდილობდა დახმარებოდა საკუთარ რაიონს.

ასე იცხოვრა იური სიორიძემ. , 30 წელი გავიდა მისი ტრაგიკული დაღუპვიდან. წავიდა და დატოვა კარგი სახელი, ლამაზი ოჯახი და მაგალითი იმისა,თუ როგორ უნდა განვლოს ადამიანმა უფლის მიერ ნაბოძები ცხოვრების მონაკვეთი და თუ საჭირო გახდა, როგორ ღირსეულად დატოვოს წუთისოფელი.

სურათზე: მარცხიდან – რევაზ გობრონიძე, იური სიორიძე, იუზა რუსიძე

„დავუთმოგ მაშინ ყრუ ტკივილს მკერდს და შევემატები პაპის საძვალეს“...

40 სევდიანი დღე

40 დღე გავიდა პოეტის, საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ჯემალ დობორჯგინიძის გარდაცვალებიდან.

„პოეტმა ფეხით უნდა იაროს!/ პოეტს ყოველთვის უნდა სციოდეს“-ო ამბობდი და მარლაც...ის თითქმის არასდროს ჩერდებოდა ერთ ადგილას, წვიმაში, ქარში, დარში, ავდარში...(მისი ლექსების უმეტესობა გზაში დაიწერა!) სულ ვიღაცის თანაგრძნობის ნეკროლოგებს ბეჭდავდა... არ ყოფილა შემთხვევა ეს რომ გამოპარვოდა...ყველას პატივს მიაგებდა თავისებურად, ამ საქმეს საკუთარ მოვალეობად თვლიდა...

ბუნებით უშიშარი, ოპტიმისტი, არ ეპუებოდა ბედის გამოწვევებს, ტუმცა ტკივილები სულ-გულს უწვავდა, მაინც წინ მიიწევდა, სწამდა, რომ უფალი არ ტოვებდა განსაცდელში... კალამს თითქმის არასოდეს დებდა...

ეს იყო მისი წამალიც და შვებაც...

„გაცრეცილ სახეზე ჩამოსული ცრემლები უბეს უვსებდა“...

არცა ვარ როგორც კაჟი,
არც მაღალი მაქვს ერდო,
ჩემი სნეული ვაჟი
გადამირჩინე ღმერთო!“...

სიკვდილი არარად მიაჩნდა, მხოლოდ, სამშობლოს ტკივილი და სევდა თან დაჰყვებოდა მუდამ...

სამშობლო და დედა ერთნაირი სიყვარულით უყვარდა „ამის მოწმეა ღმერთი“...

იის გორამ მოიწყინა, შენი ბავშვობის და სიცოცხლის ბოლომდე შთაგონების ადგილმა..

„როს გამოსტაცებს ქარი,
ვით ფოთოლს,
გადაყვითლებულს
ზამთრის სიზმრები,
თმაში სიბერე
ფანტელს რომ მოთოვს,
„დავუთმობ მაშინ ყრუ
ტკივილს მკერდს და
შევემატები პაპის
საძვალეს...
ჩემი გრძნობების,
წყაროვ და დედავ,
ჩემო მამულო,
შენ გენაცვალე!!!“

„მაღალ მთებიდან მამულს ვუგალობ“...

ახლა ზეციდან, უფრო დიდი სიმაღლიდან უგალობ შენს სათაყვანებელ საქართველოს „იადონო, მგალობელო, იადონო –გაიდონა!“

მანანა ხაჯიშვილი



მრავალჟამიერ ახალსა წელსა!!! მშვიდობით,ლხინით,ხვავითა და ბარაქით შემოსულიყოს 2023 წელი ყველა თქვენთაგანის ოჯახში

მანანა ერქომაიშვილი,

სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი

ჩემს ძვირფასს ოზურგეთელებს ვულოცავ დამდეგ შობა ახალ წელს. სიხარული, სიკეთე, ჯანმრთელობა, ბედნიერება და მშვიდობა მოეტანოს თქვენთვის 2023 წელს.

მაკა ჭყონია,

მუნიციპალიტეტის სკოკოლანდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი.

გილოცავთ დამდეგ შობა ახალ წელს. გისურვებთ ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობის, დასახული მიზნების მიღწევისა და სიხარულით სავსე ცხოვრების მომტანი წელი

გელა აროშიძე,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ჩემო ოზურგეთელებო, გილოცავთ დამდეგ 2023 წელს. გისურვებთ ეს წელი ყოფილიყოს აღმშენებლობის, წინსვლისა და წარმატების წელი.

პავლე ჭყონია,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +15+25	მზე, +1+9	მზე, 0+10	მზე, +1+7	მზე, +8+13	მზე, +3+16	მზე, ღრუბელი +5+17
29 დეკემბერი ხუთშაბათი	30 დეკემბერი პარასკევი	31 დეკემბერი შაბათი	1 იანვარი კვირა	2 იანვარი ორშაბათი	3 იანვარი სამშაბათი	4 იანვარი ოთხშაბათი